



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭო

სხდომის ოქმი №08

ქ. თბილისი

15 სექტემბერი 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე, პროფესორი მაკა კაჭარავა, პროფესორი მანანა პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი ვახა კვაშილავა, ასოცირებული პროფესორი ირმა ზაქარაია, სტუდენტები: გვანცა ქართველიშვილი, მარიამ გოგილავა, მარიამ ნოღია, მარიამ გოიაევა.

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი მაკა კაჭარავა

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, სონა აბასოვას, თჰუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, ალიფ რასულოვის, თჰუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს:

1. პირველ საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის პროფესორის მაკა კაჭარავას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სონა აბასოვა არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2015 წელს დაამთავრა სრული საშუალო განათლება ქალაქ ბაქოს ნ. ახუნდოვის სახელობის №1 სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 02 სექტემბრის №987 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე სონა აბასოვა ჩარიცხება თჰუ-ში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე.

2. მეორე საკითხთან დაკავშირებით, თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის პროფესორის მაკა კაჭარავას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ალიფ რასულოვი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2014 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ისმაილის რ-ის ზ.გარაევის სახელობის სრული საშუალო სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 02 სექტემბრის №987

ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე ალიფ რასულოვი ჩაირიცხება თჰუ-ში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ი.ჯოზავამ, ვ.საყვარელიძემ.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. სონა აბასოვას მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. ალიფ რასულოვს მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი:



/მ.კაჭარავა/

/გ.გრიგორიანი/